ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 143 (20839) — სამშაბათი, 19 ივნისი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე, მეთხუთმეტე სესია გაიხსნება 1990 წლის 20 ივნისს, 9 საათზე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და მოწვეულ პირთა რეგისტრაცია იწარმოებს 19 ივნისს 8-დან 20 საათამდე, 20 ივნისს — 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1990 წლის 20 ივნისს, 8 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომათა დარბაზში.

შეხვედრა მინისტრთა საბჭოში

18 ივნისს ამხანაგები გ. გ. გუმბარიძე და ნ. ა. ჭითანავა შეხვდნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს — მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, უწყებათა ხელმძღვანელებს.

მოისმინეს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ა. ჭითანავას ინფორმაცია რესპუბლიკის ეკონომიკაში მწვავე მდგომარეობის, იმ მიზეზთა რთული პროცესების შესახებ, რომლებმაც სახალხო-სამეურნეო კომპლექსში კრიზისული სიტუაცია შექმნა.

ნეგატიური ტენდენციების და პოზიციების შერეულის, სამეურნეო საქმიანობის გაჯანსაღებისა და საბოლოო შედეგების გაუმჯობესებისათვის შემუშავებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო ვითარების სტაბილიზაცია. პირიქით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გართულებამ, ერცთუ იშვიათად ხელოვნურად შექმნილმა სიძნელეებმა და ძაბვებმა გაამძაფრა უკურაციებები, ეკონომიკის ინტეგრირებული სისტემის დიდი შეფერხებებით ფუნქციონირება გამოიწვია.

დიდია სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დეფიციტი, შემოდგომა-ზამთრის პერიოდისთვის კვლავ სიძნელეებია მოსალოდნელი, გართულებულია რესპუბლიკის მოსახლეობის ხურსათით, ფართო მოხმარების საქონლით მიმართება, სამრეწველო საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ საჭირო ხარისხის საბირო პროდუქციით; სერიოზული სიძნელეები შეიქმნა სამშენებლო კომპლექსში; მძიმდება ფინანსური მდგომარეობა, რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკა ვერ იღებს საბირო შემოსავალს. ვერ შესრულდება სახალხო მეურნეობის უმრავლეს დარგებში განვითარების 8 თვის გეგმა, უარყოფითი პროგნოზია წლის საწარმოო პროგრამის შესრულებაშიც; მოსალოდნელია შეფერხებები რესპუბლიკის მრეწველობის აუცილებელი ნედლეულით უზრუნველყოფაში. იქმნება უმუშევრობის, მოსახლეობის დაუსაქმებლობის რეალური სიმპტომები.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სახოფლო-სამეურნეო კომპლექსში, მოსავლის კარგი პირი უჩანს და მისი უდანაკარგოდ აღება, შენახვა, გადამუშავება ახლა მთავარი საზრუნავი ხდება.

შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს შექმნილი მდგომარეობის დაძლევის პროგრამის ძირითადი მიმართულებანი, რომლებზეც მუშაობას ამთავრებს მეცნიერების და სპეციალისტების დიდი ჯგუფი.

ითქვა, რომ სუვერენულ სახელმწიფოთა სოციალისტური სახელმწიფოების კავშირის შექმნის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია განხილა მორიგ სხდომაზე სსრ კავშირის საფედერაციო სახელმ.

ამ სიკაფის და სხვა პრობლემების განხილვაში საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობაზე ილაპარაკა შეხვედრის დროს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ამხანაგი გივი გუმბარიძე მოსკოვში შეხვდა ლიტვის ხელმძღვანელებს ვ. ლანდსბერგისს, კ. პრუნსკენეს და ა. ბრაზაუსკასს, რუსეთის ფედერაციის, ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის და მოლდავეთის ხელმძღვანელებს და ესაუბრა რესპუბლიკათშორისი ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე.

მინისტრთა საბჭოში შეხვედრაზე გაიმართა საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის აღდგენა-დამკვიდრების, დემოკრატიის შემდგომი განვითარების, მრავალპარტიულობის პირობებში სახელმწიფოებრივი წყობის, სხვა კარდინალური პრობლემების შესახებ.

ამასთან შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეთხუთმეტე სესიის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები; საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ სამართლებრივი მექანიზმის შექმნის, სახელმწიფო მართვის ორგანოების არჩევნების სისტემის, საქართველოს მოქალაქეობის, ჯარში ალტერნატიული სამსახურის და სხვა კანონშოექტების კონცეფცია, რომელთა შედგენისათვის მუშაობას ამთავრებენ უზენაეს საბჭოსთან შექმნილი კომისიები.

ბაზისამთი აღინიშნა, რომ ქართველი ერი, მთელი რესპუბლიკა ისტორიულ მიჯნასთან დგას, უნდა გადაიდგას უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯი. ამიტომ საჭიროა მთელი ინტელექტუალური და შემოქმედებითი ძალების მობილიზება, მაქსიმალური გონიერება, სიმშვიდე და სიბრძნე, ჯანსაღი ეროვნული ძალების ახალი კონსოლიდაცია, რომელიც ერთადერთი სწორი გზის არჩევის წანამძღვარი და საფუძველი იქნება.

(საქინფორმი).

„ჩაი—90“

ხვავრიელად კრეფენ, მაგრამ ხარისხი?

საქართველოს /ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის მისაღწევად, საჭიროა, ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის, მეჩაიეობის განვითარება. აქ მარტო რაოდენობას კი არა, ხარისხსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ყოველივე ეს მშვენივრად იციან ოზურგეთელმა მეჩაიეებმა, რომლებმაც წლეულს 77.700 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. აქედან კი, მარტო ივნისის ბოლომდე, 32,900 ტონა ნედლეული უნდა დაამზადონ. მიმდინარე სეზონი წინა წლებთან შედარებით გვიან დაიწყო, მაგრამ სამაგიროდ, მკრეფველი ისეთი მაღალი ტემპით მუშაობენ, რომ ყოველდღიურად 1200 ტონამდე ფოთოლს აბარებენ საბჭოთა მეურნეობას. წინა წლებთან შედარებით უკეთესი ნედლეული მიაქვთ საწარმოში. თავის მხრივ ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკები ორგანიზებულად, გამართულად მუშაობენ და კარგი ხარისხის პროდუქციასაც უშვებენ.

რესპუბლიკაში ცნობილი ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის მშრომელები (დირექტორი რევაზ ლორია, მთავარი აგრონომი ბადრი დარჩია) სასარგებლო ღონისძიებებს ახორციელებენ ხარისხოვანი ჩაის დასაწყებლად. ლაითურელები სეზონში 6.550 ტონა ჩაის ნედლეულისათვის იღვწიან, ორი თვის დაგალებას 25 ივნისამდე შესარულებენ და 2690 ტონა ნედლეულს დაამზადებენ. აქაური მშრომელები ორივე საკუთარ ფაბრიკას დღეში საშუალოდ 120-130 ტონა ფოთოლს აბარებენ. ლაითურელ მეჩაიეთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ დამზადებული ფოთოლის 73 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ისიც სათქმელია, რომ აქ ფოთლის კრეფა ძირითადად მექანიზებულია. მექანიზატორები გიორგი ელბაქიანი, ვიქტორ რიგალინი, გივი ხუბუკელიანი და სხვები კარგად შრომობენ.

ლაითურელებს ერთი დიდი სამდურავიც აქვთ. თბილისის ქარხანა „აგრეგატის“ მიერ მოწოდებული ჩაის საკრეფი აპარატები არ გამოადგათ, იმის გამო, რომ მათი ძრავები უხარისხოა და 60 პროცენტი გადაყარეს კიდეც. ეს კი აფერხებს მცირე მექანიზაციით ფოთლის კრეფას. მექანიზატორთა გულისწყრომას ისიც იწვევს, რომ ჯერჯერობით აღგილზე არა აქვთ ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ მარაგ-ნაწილები და ეს მარტო ლაითურელ მექანიზატორთა გასაჭირი როდია.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების განყოფილების გამგესთან, რეზო შავიშვილთან ერთად, თითქმის ნახიჯ-ნახიჯ შემოვიარეთ ჩაის პლანტაციები, ფაბრიკები.

სამდურავი არ ეთქმით სოფლების: ძიმითის, ნატანების, კონჭკათის, შრომის, სოფელ ოზურგეთის და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელებს, რომლებიც ღღითადღე აძლიერებენ კრეფის ტემპს, აუჯობესებენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მაგრამ ყველგან ასე როდია, ეტყობა წლების მანძილზე დამკვიდრებულ ზომოდან კარნახითა და განუკითხაობით გამოწვეულ დაუდევრობას ყველა ვერ აღწევს თავს.

„მაღალი ეწერის“ უხვმოსავლიან პლანტაციებში მივედით. გვინდოდა აქ მომუშავე მეჩაიეთაგან უკეთესთა ქება გვეთქვა, მაგრამ ხასიათი გაგვიფუჭდა, როცა პლანტაციის სიღრმეში შევედით და ყველგან, ჩაის ბუჩქთა მწკრივებში ჩამდგარ მკრეფავებს ხელში თვითნაკეთი ბასრი იარაღები, ან ნამგლები ეჭირათ და გულიანად „კრეჭდნენ“ ბუჩქებს. მერე ყლორტებს ტომრებში ტენიდნენ. ისინი სოფელ მთისპირის კოლმეურნეობის მეჩაიეები იყვნენ. არც ერთ მათგანს გვარი არ ჩაგვიწერია. ყველა ასე კრეფდა და რა აზრი ქონდა?

იქვე, მახლობელ პლანტაციაში გადაეინაცვლე, რომელიც სოფელ ფამფალეთის კოლმეურნეობას ეკუთვნის. აქაც ნამგლითა და დანით ჭრიდნენ ყლორტებს. ფარდულის ჩრდილში თავშეფარებულ ვეტერან მეჩაიეს, მაგრა მდინარაძეს გავესაუბრეთ.

— გეტყობათ, ჩაის ფოთლის დანით კრეფას გვიშლით, ამიტომ მობრძანდით არა? — მისვლისთანავე შეგვაგება სიტყვა.

მივესალმე. იქვე ფარდულში ჩამოვჯექი და სანამ ვუპასუხებდი, მანვე დამასწრო:

— ჩემო ნენა, ეს დროული ქალი ბევრის მომსწრე ვარ. ისიც კარგად მახსოვს, ქალები თითებზე ფრჩხილებს ვერ წაიზრდიდით, ვეკრძალვოდნენ დუყი-არ გადაჭრათო, ნაზი ყლორტი თითის შეხებით უნდა ტყდებოდესო. კი ბატონო, ეკრეფდით, ნამდვილ თაიგულს ვაბარებდით წარმოებას.

— ქალბატონო მაგრა, ახლაც კრიფეთ ლორთქო ფოთლები ვინ გიშლით?

— აგაშენა ღმერთმა, არ გვიშლიან ხომ? — განა საქმე ეგრეა? მაშინ დღეში დიდი-დიდი 20-30 კილოგრამს კრეფდა კარგი მეჩაიე, ახლა მე 300 კილოგრამს ვაბარებ ყოველდღიურად, სხვები კი მეტსაც. მერე ეს ხელს გვაძლევს? ლორთქო დუყები და დიდი რაოდენობით არ შეიძლება შვილო! ერთ კილოგრამ ნედლეულს სულ ცოტა 2.500-3.000 დუყი სჭირდება, რა ხელმა უნდა მოკრიფოს!

— უბედურება სწორედ ეს არის, მუშაკაცის მართალი სიტყვის მოსმენა და გათვალისწინება არავის უნდა. ისე კი ტრიბუნიდან ყურებს გამოგიქედაენ: არიქა, თქვენი დრო დადგა, გამოიყენეთ საკაროობა და დემოკრატიაო. ამ დროს კი ცხრა მთას იქედან მოდის განაწესი — ძვირფასი ხარისხის ჩაი გვინდა, ისიც დიდი რაოდენობითაო. იმ პლანტაციებს, რომ ხედავთ, 5 კოლმეურნეობას ეკუთვნის. ასეულობით ჰექტარია, სულ ცოტა 200-300 ადამიანი გამოდიოდა წინათ ფოთლის საკრეფად. ახლა გიიხედეთ, 15-20 მეჩაიე მუშაობს, ისინიც ჩემებრ ხანში შესულები არიან.

—გაზეთში არ დაგიბეჭდავენ, მაგრამ მაინც მომისმინეთ: ბატონსანი მეჩაიეს მიერ დანით მოკრილი ფოთლები ბევრად უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე მექანიზაციით ნაკრეფი, თუ გნებავთ წაიღოთ ჩვენი ნედლეული და ლაბორატორიულად გავსინჯოთ. ჩვენ თვალთა ვზომავთ რომელი ყლორტები მოვჭრათ, ხოლო მანქანა, ერთიანად ჭრიან. ხშირად ორწლიან ტოტსაც აყოლებს. ეს რომ დიდმა კაცმა ბრძანოს, მის უდიდებულესობას დაუჯერებენ. მე უბრალო მეჩაე ვარ, ვინ მომისმენს? შეაყარე ყველს ცერცანი...

...ოზურგეთის №2 ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკის ცენტრალურ მიმღებ პუნქტში, სოფელ სილაურის კოლმეურნეობის მანქანები მიადგნენ. მაგრამ როცა ნედლეული გასინჯეს, იგი უწარისხოდ მიიჩნიეს და დაწუნებული ტვირთი უკანვე გააგზავნეს. ვთქვათ ფაბრიკის ხელმძღვანელებს (დირექტორი, გელა სიამაშვილი) უვარგისი ნედლეული მიეღო, რა პროდუქცია დამზადდებოდა ამ გადაუხეშებელი მასიდან? განა ამის შესახებ არ უნდა იფიქრონ სილაურის კოლმეურნეობის თავკაცებმა?

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადების წადილი არ იგრძნობა ნარუჯის ჩაის მეურნეობა-კომბინატში. არა, ნარუჯელებს საამისოდ საუკეთესო პირობები გააჩნიათ.

სამწუხაროდ ნარუჯის კომბინატი გამონაკლისი არ არის, რაიონში თითზე ჩამოსათვლელი ჩანდა ისეთი საზოგადოებრივი მეურნეობება, სადაც უკეთესად ამ ჩაის ხარისხისათვის ზრუნავა. ამ შემთხვევაში ვერაფრით იმართლებენ თავს დვაბზუს, ფამფალეთის, მზიანის, ქვედა ბახვისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების მესვეურები.

ერთი მეტად დამაფიქრებელი ფაქტის შესახებ: ჩაის წარმოებას უმეტესად ცუდი ხარისხის ნედლეული ბარდება. ეს ცხადია და მისი დამალვა შეუძლებელია, მაგრამ მარტოოდენ ბრალდების წაყენება ჩამბარებლებისათვის, ნედლეულის (დამამზადებლებისათვის არ კმარა. საჭირო ჩაის გადამმუშავებელი წარმოების სპეციალისტებმა უფრო სრულყოფილი გახადონ ტექნოლოგიური რეჟიმი, აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან გამომგონებლებმა, რაციონალიზატორებმა, ინჟინერ-ტექნოლოგებმა, სამწუხაროდ, დღემდე ეს არ იგრძნობა.

მართალია, ჩვენ ხშირად ვუსაყვედურებთ ზოგიერთ მეჩაიეს, მექანიზატორს, უხარისხო ნედლეულისათვის, მაგრამ თავის მხრივ მათაც აქვთ სერიოზული სამდურავი. ნათქვამია, ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო. თაკარა სიცხეში, დილიდან საღამომდე, პლანტაციებში მომუშავე მკრეფავებს არავითარი მომსახურება არა აქვთ. არავინ ზრუნავს მათი შრომითი პირობების თუნდაც ელემენტარული გაუმჯობესებისათვის.

ოჯახიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ პლანტაციებში ერთ ორის საველე სასადილოები. ნუთუ დღეში ერთი ნოყიერი ცხელი სადილის ღირსი არ არის ჯაფისა და სიცხისაგან გათანგული მშრომელი?..

როგორც მოგეხსენებათ, ზღვისპირეთში ხშირი წვიმები იცის, ხან კვირაობით გაბმის ხოლმე. შემოსული ფოთოლი ხომ მაინც უნდა მოკრიფოს მეჩაიეთა დალოცვილმა მარჯვენამ. მათ კი სა-წვიმარებიც არა აქვთ. როგორც ეტყობა, არც რაიონის საგაჭრო ორგანიზაციებისა და არც სამიწათმოქმედო სამსახურის ხელმძღვანელებს ამ საკითხებზე არ უზრუნიათ.

სწორედ ამ საკითხებზე ვსაუბრობდით ოზურგეთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის · მოადგილესთან, აგრონომ ვაჟა სალუქვაძესთან. რომელმაც თავის მხრივ გვითხრა:

— ჩვენი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა ამიერიდან თავისუფალ საბაზრო ურთიერთობას დაემყარება. სახელმწიფო ხელისუფლება და დარგობრივი უწყებები, ხელაღებით ვეღარ ჩაერევიან ჩვენს საქმიანობაში. რაც გვაიძულებს, რომ ამ გზით ქართული ჩაის პრესტიჟი უთუოდ გაუჯობესდება.

ბეგლარ ჩხაიძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სტატუსის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სტატუსის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სტატუსს განსაზღვრავენ სსრ კავშირის კონსტიტუცია, სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“, ეს კანონი, სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებათა ვადა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებანი იწყებიან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად მისი არჩევის დღიდან ... მთავრდება სსრ კავშირის პირველი მოწვევის სახალხო დეპუტატების ახალი არჩევის დღეს ან ამ კანონის 8-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ინარჩუნებს, კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის უფლებამოსილებებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებანი სხვა ... ვერ გადაეცემა.

მუხლი 3. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სადეპუტატო ... და სამკერდე ნიშანი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი უფლებამოსილებათა ვადგამაგლობაში სარგებლობს დეპუტატო მოწმობითა და სამკერდე ნიშნით „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი“. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის მოწმობისა და სამკერდე ნიშნის დეტალებს, მათ ნიმუშებსა და ... ინერგებას ამტკიცებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიუმი.

მუხლი 4. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის საქმიანობის ... საწარმოო და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს უფლება აქვს განთავისუფლდეს საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობების შესრულებისაგან იმ ვადით, რა ვადაც დაკმაყოფილდება დეპუტატს უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პალატის მუდმივი კომისიისა ან კომიტეტის შემადგენლობაში არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან შესაბამისად სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, მუდმივი კომისიის ან კომიტეტის გადაწყვეტილებით ამ ორგანოების მიერ დადგენილი ვადით გადაყვანის წესით.

საარჩევნო ოლქში მუშაობის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, მათი ორგანოების დავალებათა შესრულებისათვის და სხვა შემთხვევებში საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის განთავისუფლების გაფორმების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

მუხლი 5. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის ურთიერთობა ამომრჩევლებთან ან მის ამრჩევ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩევლების ან მისი ამრჩევი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე.

ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს კავშირურთიერთობა აქვს ამომრჩევლებთან, კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სხვა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, აგრეთვე მისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარე საზელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების კოლექტივებთან.

საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩეულ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს კავშირურთიერთობა აქვს მის ამრჩევ ორგანოებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე მოსახლეობასთან, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან მისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მიხედვით.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი როგორც ხალხის სრულუფლებიანი წარომადგენელი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში თავის სტატუსს იყენებს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გარანტიის, მათი ჰატივისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

ამომრჩევლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი იღწვის ამომრჩეელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განაწესების განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ან მისი ამრჩევი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნდობას, შეიძლება გაწვეულ იქნეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის მონაწილეობა ქვემდგომი საბჭოების შუშაობაში

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს უფლება აქვს მონაწილეობდეს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატთა ყრილობების, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი ორგანოების შუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 7. დეპუტატთა ჯგუფებსა და დეპუტატთა კლუბებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა გაერთიანების უფლება

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ შუამდივ და დროებით დეპუტატთა ჯგუფებში, დეპუტატთა კლუბებში.

დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობის წესსა და უფლებებს განსაზღვრავენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტი, სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ დეპუტატის საქმიანობის საკითხებს.

მუხლი 8. დეპუტატის ეთიკა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი მკაცრად უნდა იცავდეს ეთიკისა და მორალის ნორმებს. დაუშვებელია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის მიერ თავისი სტატუსის გამოყენება სახელმწიფოს, საზოგადოების, მოქალაქეთა ინტერესების საზიანოდ.

დეპუტატის ეთიკის დარღვევის შემთხვევაში დეპუტატის ქცევის საკითხს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დავალებით იხილავს დეპუტატის ეთიკის საკითხთა კომისია.

მუხლი 9. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებანი ვადამდე წყდება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იღებენ იმ თანამდებობაზე დეპუტატის არჩევასთან ან დანიშნასთან დაკავშირებით, რომლის დაკავება კანონით შეუთავსებელია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებთა შესრულებასთან, ან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი იმ პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებანი შეიძლება შეწყდეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იღებენ იმ გარემოებათა გამო გადადგომის შესახებ დეპუტატის პირად განცხადებასთან დაკავშირებით, რომლებიც აბრკოლებს უფლებამოსილებათა შესრულებას, ანდა სხვა პირადი მოტივებით.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებანი ვადამდე წყდება ასევე ამომრჩეველთა ან მისი ამრჩევი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მისი გაწვევის შედეგად ანდა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომელმაც აირჩია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი და რომელსაც არა ჰყავს უფლებამონაცვლე.

II. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის საქმიანობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსა და მათ ორგანოებში

მუხლი 10. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის მონაწილეობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობაში

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომებზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები კოლექტიური და თავისუფალი განსჯის საფუძველზე იხილავენ და წყვეტენ ყველა საკითხს, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის განმგებლობას განეკუთვნება.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი მოვალეა ესწრებოდეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომებს, ხოლო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, რომელიც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრია, — აგრეთვე სსრ კავშირის უზენაესი სათბოს სესიებსა და პალატების სხდომებს. იმ შემთხვევაში, თუ სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა არა აქვს, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ამას აცნობებს პალატის თავმჯდომარეს ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 11. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებანი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომებზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი სარგებლობს გადაწყვეტი ხმის უფლებით ყველა იმ საკითხზე, რომლებსაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომებზე იხილავენ, ხოლო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრები — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზეც. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, რომელიც არ შედის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში, შეუძლია მონაწილეობდეს მის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს უფლება აქვს:

აირჩიოს და არჩეულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ორგანოებში, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებში;

გამოთქვას აზრი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევენ, ნიშნავენ ან ამტკიცებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭო;

შესთავაზოს საკითხები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად;

შეიტანოს შენიშვნები და წინადადებანი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის დღის წესრიგის გამო, განსახილველ საკითხთა განხილვის წესისა და ხრსის გამო;

შეიტანოს წინადადებანი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომაზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ან საქვეკონტროლო ყოველი ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშის თუ ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

დასვას საკითხი სსრ კავშირის მთავრობის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ უკავშირის უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირებისადმი ნდობის შესახებ;

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოსა და მათ ორგანოებში, სახალხო დეპუტატთა სხვა საბჭოებში შეიტანოს წინადადებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირის კანონთა შესრულების შემოწმების მოწყობის საჭიროების, სსრ კავშირის განმგებლობის მოკუთვნებულ ყოველ საკითხზე სადეპუტატო გამოძიების განხორციელების შესახებ;

მონაწილეობდეს კამათში. შეკითხვის წესით აყენებდეს საკითხებს, აძლევდეს კითხვებს მომხსენებლებს, აგრეთვე სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვდეს პასუხებს და აძლევდეს მათ შეფასებას;

ასაბუთებდეს თავის წინადადებებს ეკონომიკურის მოტივების გამოთქვამ. იქვე ფარდულში ჩამოვჯექი და სანამ ვუპასუხებდი, მანვე დამასწრო:

— ჩემო ნენა, ეს დროული ქალი ბევრის მომსწრე ვარ. ისიც კარგად მახსოვს, ქალები თითებზე ფრჩხილებს ვერ წაიზრდიდით, ვეკრძალვოდნენ დუყი-არ გადაჭრათო, ნაზი ყლორტი თითის შეხებით უნდა ტყდებოდესო. კი ბატონო, ეკრეფდით, ნამდვილ თაიგულს ვაბარებდით წარმოებას.

— ქალბატონო მაგრა, ახლაც კრიფეთ ლორთქო ფოთლები ვინ გიშლით?

— აგაშენა ღმერთმა, არ გვიშლიან ხომ? — განა საქმე ეგრეა? მაშინ დღეში დიდი-დიდი 20-30 კილოგრამს კრეფდა კარგი მეჩაიე, ახლა მე 300 კილოგრამს ვაბარებ ყოველდღიურად, სხვები კი მეტსაც. მერე ეს ხელს გვაძლევს? ლორთქო დუყები და დიდი რაოდენობით არ შეიძლება შვილო! ერთ კილოგრამ ნედლეულს სულ ცოტა 2.500-3.000 დუყი სჭირდება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სტატუსის შესახებ

(დასასრული).

ყრილობა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, ხოლო სსრ კავშირის პრეზიდენტის წინაშე — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომებზე.

შეკითხვის წესით საკითხს დეპუტატი აყენებს წერილობითი ფორმით. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, ან, მისი თხოვნით, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის თავმჯდომარე კითხულობს შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს.

სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშეც შეკითხვის წესით დაყენეს საკითხი, ვალდებული არიან გასცენ მას ოფიციალური პასუხი. შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს არა უგვიანეს სამი დღის ვადისა ან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებულ სხვა ვადაში და გამოქვეყნდეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მოცემულ ყრილობაზე ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს უფლება აქვს მისცეს შეფასება შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე თანამდებობის პირის პასუხს. შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო განხილვის შედეგების მიხედვით მიიღება დადგენილება.

შეკითხვის წესით დაყენებული საკითხი, მასზე პასუხი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომელიც მიღებულია შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის განხილვის შედეგების გამო, უნდა გამოქვეყნდეს.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია შეკითხვის წესით დაყენოს საკითხი ეროვნული ენის, ეთნიკური ურთიერთობების, ეკოლოგიური ვითარების, ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და ადამიანის ეროვნული ღირებულებების, ეროვნული ენის, ეროვნული ფასეულობების, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფერადოვნებისა და ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ბანკის, ეროვნული ფულადი ერთეულის, ეროვნული ბიუჯეტის, ეროვნული ფასეულობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის წინ

პოლიტიკური პარტიები

სამართლებრივი რეგულირების საკითხები

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა პოლიტიკური პლურალიზმი სამართლებრივ სინამდვილედ გადააქცია. საკავშირო კანონების ფეხდაფეხ მიმდევარმა საქართველოს კანონმდებელმა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6, მე-7 და 49-ე მუხლების ახალი რედაქციის მიღებით საფუძველი დაუდო მრავალპარტიული სისტემის ლეგალური არსებობის შესაძლებლობას.

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე გადაიდგა პირველი, მაგრამ ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამას იმტოგმ ვამბობთ, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნოვაცია ძირითადი კანონის დონეზე ასახავს იმ რეალურ სურათს, რომელიც კომუნისტური პარტიის მონოპოლური მდგომარეობის დასამარცხა და ერთპარტიული ტოტალიტარული რეჟიმის მსხვრევის დასაწყისში მდგომარეობს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ერთპარტიული სისტემები შემორჩენილია ისეთ ქვეყნებში (ზაირი, კამერუნი, გაბონი და სხვ.), სადაც ავტორიტარული რეჟიმები მძვინვარებს, ვფიქრობთ, გადამეტებულად არ ჩაგვეთვლება ჩვენი სახელმწიფოს მცდელობის სიღრეწ მაღალი შეფასება, თავი დააღწიოს ზემოთ მითითებულ ქვეყნებთან არასასურველი მსგავსებას.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ პირველი ნაბიჯი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც არასრულყოფილი გამოდგა. პოლიტიკური პარტიების, აგრეთვე სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების სამართლებრივი რეგლამენტაციის სრულმა ჩამორჩენილობამ, რომელიც ჩვენი იურიდიული აზროვნებისა და კრაქტიკისათვის ასეა დამახასიათებელი, აქაც იჩინა თავი. პოლიტიკური პარტიების შესახებ აპკანდ მოქმედი კონსტიტუციური დებულებები, ჩვენი აზრით, ვერ ქმნიან სათანადო ნორმატიულ ბაზას პოლიტიკური სისტემის ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტების სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირებისათვის. იგი არ იძლევა ორიენტირებს, რომლებიც აუცილებელია ამ სფეროში სპეციალური კანონმდებლობის ჩამოყალიბებისათვის. არადა, ასეთი კანონმდებლობის შექმნის ამოცანა უკვე რეალურად დგას რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე.

საქართველოს ძირითადი კანონის მე-6 და მე-7 მუხლები პოლიტიკურ პარტიებს არ განასხვავებენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, მათ ერთგვაროვანი სამართლებრივი სტატუსი აქვთ მინიჭებული, ისინი სანალრო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შეშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. საკითხის აგვარ გადაწყვეტას, ჩვენი აზრით, ის ნაკლი აქვს, რომ პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ეფექტიანობა, ეფექტიანობა, ეფექტიანობა

კონტაქტები

2 მაისი შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში ტრადიციულად ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს ეთმობა. წელს ამას ისიც დაერთო, რომ გლაზგო ევროპის ხელოვნების დედაქალაქად არის გამოცხადებული, ამიტომ ბუნებრივია, ფესტივალის ორგანიზატორებმა მისი მონაწილენი საგანგებო არჩევანით მიიწვიეს. წელს გლაზგოს ფესტივალში საქართველოდან რამდენიმე მხატვრული კოლექტივი მონაწილეობდა — რუსთაველის თეატრის ახალგაზრდული დასი, მარჯანიშვილის თეატრი, ფოლკლორული ანსამბლი „ჟურნალისტი“ (ხელმძღვანელი თემურ ჭკუასელი), ეალთა ტრიო „ჰარმონია“. გლაზგოს ფესტივალის ბოლო დღეები დაეთმო ქართული ხელოვნების კვირეულს. ამ კვირეულის ორგანიზატორი საქართველოდან გახლდათ კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი, ქალბატონი ქეთი დოლიძე, იგი ივნისის დასაწყისში დაბრუნდა ინგლისიდან, ჩვენ მას ვესტუმრეთ და ვესაუბრეთ გლაზგოს ფესტივალზე.

— ქალბატონო ქეთი, მაინც რით უნდა ეიხსნას ასეთი ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ქართული ხელოვნებისადმი გამორჩეული ინტერესი ხომ კინომსახიობთა თეატრის და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ მიხეილ თუმანიშვილის დიდი დამსახურებაა. მათ თავიანთი „ღონეჟუანით“ გზა გაუკაფეს ქართულ კულტურას, ასე თამამად რომ ყოფილიყო წარმოდგენილი გლაზგოს საერთაშორისო ფესტივალზე, დაიწყო იმით, რომ უილიამ ბარდიტ კუცი, ახალგაზრდა ინგლისელი კაცი, ედინბურგის ფესტივალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გლაზგოს ფესტივალის





მხატვრული ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი, შეყვარებული ქართულ ხელოვნებაზე მას შემდეგ, რაც თუმანიშვილის „დონ-ჟუანი“ ნახა. ეს იყო 1988 წელს, ედინბურგის ფესტივალზე; მეორე წელსვე მისი ინიციატივით კინომსახიობთა თეატრი გლაზგოს ფესტივალზე გამოვიდა (სახოგადოებამ იცის ე.ქაუარი წარმატების ამბავი). სწორედ შარშან მაისში, ჩვენი თეატრის გამოსვლის შემდეგ მე და ბარდიტ კუცს დაგვეგება აზრი, 1990 წელს გლაზგოში გაგვემართა ქართული ხელოვნების კვირეული. შემოდგომაზე ბარდიტ კუცი ჩამოვიდა თბილისში და თითქმის ყველა ქართული სპექტაკლი ნახა. განსაკუთრებით აღაფრთოვანა „ბაკულას ღორებმა“. ასევე ძალიან მოეწონა მარჯანიშვილელთა „ოტელო“ და „პროვინციული ამბავი“, რუსთაველის თეატრის — „სამანიშვილის დედინაცვალი“. (გიზო ყორდანიას რეჟისურით).

მას ძალიან სურდა შეეტანა „ბაკულას ღორები“ ფესტივალის პროგრამაში, მაგრამ სულ სამი სპექტაკლი უნდა წაგვეღო; ჩემი რჩევით, იგი შეეღია კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლს, ამ თეატრს იცნობენ გლაზგოში, მე კი მსურდა გაეცნო კიდევ ერთი განსხვავებული თეატრალური დასი საქართველოდან.

— როგორ წარიმართა ქართული ხელოვნების კვირეული

ქართული ხელოვნება

ალბომიდან

გლაზგოში, როგორი იყო პროგრამა, ერთი სიტყვით, როგორ გამოიყურებოდა საქართველო ალბომის კუნძულებზე?

— ქართული ხელოვნების კვირეული 21-26 მაისს გაიმართა, ორ-ორჯერ წარმოვადგინეთ სამივე სპექტაკლი, ქართულ სიმღერასაც გაეცნენ. თან გვახლდნენ სასტუმრო „აკარის“ დირექტორი მიხეილ ლოლაძე და მზარეულები შოთა ტოგონიძე და ალექსი სხირტლაძე; სწორედ მათ გაშალეს 26 მაისს ფესტივალის დახურვის დღეს შოტლანდიაში ქართული სუფრა. მეორე დღეს გაზეთ „ინდიპენდენტის“ მიმომხილველი ჯეიმს შეივორი წერდა: „წლევანდელ გლაზგოს ფესტივალზე ქართველებმა იდღესასწაულეს თავიანთი ეროვნული დღე, ზეიმი დახურეს შესანიშნავი ქართული ნადიმით; ღმერთმა ქნას, ჩვენი კულტურული თანამშრომლობა გაგრძელდეს: გვეგონა, წელს ფესტივალზე მნიშვნელოვანი არაფერი მოხდებოდა, მაგრამ ქართველები ჩამოვიდნენ და მეიფესტი ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

— როგორი იყო მაყურებლის დამოკიდებულება ქართული სპექტაკლების მიმართ, ერთბაშად აუღეს ალღო, თუ თანდათან?

— პირველივე სპექტაკლის შემდეგ („პროვინციული ამბავი“) ჩემთან მოვიდა ერთი კაცი და მკითხა: „თქვენ შარშან მგონია ედინბურგში ახლდით თუმანიშვილის თეატრს; როცა დავუდასტურე, ხელები გაშალა და აღფრთოვანებულმა თქვა: — გამაგებინეთ, მაინც, რა ხალხი ხართ ეს ქართველები, რა ფენომენია ქართული თეატრი, რომ ამ პატარა ქვეყანაში ამდენი გასაოცარი თეატრია, ამიხსენით, ეს როგორ ხდება“.

ჩემთვის ყველაზე დიდი მოვლენა იყო „ოტელოს“ გამორჩეული აღიარება, აქ ოთარ მეღვინეთუხუცესის და თემურ ჩხეიძის ჭეშმარიტი ტრიუმფი შედგა, მე მიხარია, რომ გაიმარჯვა მეღვინეთუხუცესის „პროვინციულმა ამბავმაც“, ამ სპექტაკლმა უმაღლესი შეფასება მიიღო. აღფრთოვანებით შეხვდა მაყურებელი რუსთაველელთა „სამანიშვილს“. ყველაზე მეტად, ძალასა და სიამაყეს ის მმატებდა, რომ არაერთი და ორი მრავალსმნახველი მაყურებელი გულწრფელად ამბობდა, საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც ნებისმიერი ქვეყნიდან უნდა ეწვიონ რეჟისორობის და მსახიობობის მსურველნი, რომ თქვენთან დაეუფლონ ამ პროფესიების საიდუმლოსო; გამეხარდა ისიც, რომ მათ კიდევ ახსოვთ კინომსახიობთა თეატრი და ელოდებიან მის სპექტაკლებს...

დიდი წარმატება ხვდა წილად ანსამბლ „ჟურნალისტს“, მათ ყოველდღე უხდებოდათ კონცერტების გამართვა; აი, რას წერდა გლაზგოს პრესა მათი გამოსვლის შესახებ: „არაჩვეულებრივმა ანსამბლმა— ხუთმა ჟურნალისტმა, ერთმა ეკონომისტმა და ორმა არქიტექტორმა მოინადირა შოტლანდიელთა გული, აღაფრთოვანა ისინი, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს დიდი გუნდი გალობსო“.

მე უხვად ჩამოვიტანე იქაური პრესა და ვიდეომასალა, მას შემდეგ ნახავენ ტელემაყურებლები, იქაური გაზეთების თარგმანებს მალე ჩვენი პრესის საშუალებით გაეცნობა მკითხველი და თავად დარწმუნდება, როგორ შეხვდა შოტლანდიელი მაყურებელი ქართულ ხელოვნებას. სხვათა შორის, იქაური პრესა საოცარად ოპერატიულია, მეორე დღესვე ვკითხულობდით მათ შეფასებას, რეცენზენტები დაუნდობელნი არიან, არავის და არაფერს ერიდებიან, ყველაფერს პირუთვნელად ამბობენ, რაც უნდა მწარე იყოს. განსაკუთრებით მათმა პროფესიონალიზმმა გამოაცა, ისინი ასსტრიქონიან რეცენზიებს წერენ და მასში შესანიშნავად გამოხატავენ თავის სათქმელს.

ოთარ მეღვინეთუხუცესის ანსამბლ ლოურენს ოლივიე თამაშს ადარებდნენ, ხოლო ლონდონის ვიბერ დუგლასის დრამის ხელოვნების აკადემიის პროფესორმა, წარსულში ცნობილმა აქტიორმა ჰილარი ვუდმა განაცხადა, რომ მეღვინეთუხუცესის ოტელო გაცილებით მაღლა დგას, უფრო ცოცხალია და არც „ნარცისისტია“, პირიქით, ამ დღემდე ძნელად დასაჯერებელ პიესაში, ქართველი მსახიობი არაჩვეულებრივად ბუნებრივი და დამაჯერებელია.

გლაზგოს ფესტივალის ორგანიზატორებისა და იქ ჩასული ინგლისელი სპეციალისტებისათვის თითქოს „აღმოჩენა“ იყო, რომ თუმანიშვილის ერთი მოწაფის— „ბიწყინვალე სტურუას“ (ასე ეძახიან რობერტ სტურუას), შემდეგ ისინი გაეცნენ მის მეორე დიდებულ მოწაფეს, თემურ ჩხეიძეს, რომელიც სულ სხვა პლანის, ფსიქოლოგიური თეატრის ადეპტია;

— ქალბატონო ქეთი, კიდევ რით იყო გამორჩეული თქვენი შეხვედრები გლაზგოში, ალბათ ბევრი პრაქტიკული წინადადებაც შემოგთავაზეს, არა?

— ქართული ხელოვნების კვირეულზე გლაზგოში სპეციალურად ჩამოვიდნენ პერტის და ადელაიდის ფესტივალების გენერალური დირექტორები, პარიზიური პრესა და ვიდეომასალა, მას შემდეგ ნახავენ ტელემაყურებლები, იქაური გაზეთების თარგმანებს მალე ჩვენი პრესის საშუალებით გაეცნობა მკითხველი და თავად დარწმუნდება, როგორ შეხვდა შოტლანდიელი მაყურებელი ქართულ ხელოვნებას. სხვათა შორის, იქაური პრესა საოცარად ოპერატიულია, მეორე დღესვე ვკითხულობდით მათ შეფასებას, რეცენზენტები დაუნდობელნი არიან, არავის და არაფერს ერიდებიან, ყველაფერს პირუთვნელად ამბობენ, რაც უნდა მწარე იყოს. განსაკუთრებით მათმა პროფესიონალიზმმა გამოაცა, ისინი ასსტრიქონიან რეცენზიებს წერენ და მასში შესანიშნავად გამოხატავენ თავის სათქმელს.

ოთარ მეღვინეთუხუცესის ანსამბლ ლოურენს ოლივიე თამაშს ადარებდნენ, ხოლო ლონდონის ვიბერ დუგლასის დრამის ხელოვნების აკადემიის პროფესორმა, წარსულში ცნობილმა აქტიორმა ჰილარი ვუდმა განაცხადა, რომ მეღვინეთუხუცესის ოტელო გაცილებით მაღლა დგას, უფრო ცოცხალია და არც „ნარცისისტია“, პირიქით, ამ დღემდე ძნელად დასაჯერებელ პიესაში, ქართველი მსახიობი არაჩვეულებრივად ბუნებრივი და დამაჯერებელია.

გლაზგოს ფესტივალის ორგანიზატორებისა და იქ ჩასული ინგლისელი სპეციალისტებისათვის თითქოს „აღმოჩენა“ იყო, რომ თუმანიშვილის ერთი მოწაფის— „ბიწყინვალე სტურუას“ (ასე ეძახიან რობერტ სტურუას), შემდეგ ისინი გაეცნენ მის მეორე დიდებულ მოწაფეს, თემურ ჩხეიძეს, რომელიც სულ სხვა პლანის, ფსიქოლოგიური თეატრის ადეპტია;

— ქალბატონო ქეთი, კიდევ რით იყო გამორჩეული თქვენი შეხვედრები გლაზგოში, ალბათ ბევრი პრაქტიკული წინადადებაც შემოგთავაზეს, არა?

— ქართული ხელოვნების კვირეულზე გლაზგოში სპეციალურად ჩამოვიდნენ პერტის და ადელაიდის ფესტივალების გენერალური დირექტორები, პარიზი-

„მზერა ქართულია სივრცის დაუნჯებით...“

სიმონ კილაძის ფოტო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 18 ივნისი.

* * *

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“: ლიანა ევგენის ასულ ქავთარაძეს — მოცეკვავეს, ჯემალ შერმადინის ძე ჭკუასელს — სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს, რევაზ შოთას ძე ჯოხონელიძეს — მთავარ ქორეოგრაფს.

* * *

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“: შოთა გრიგოლის ძე ბრეგაძეს — ლოტბარს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“: ლალი იონას ასულ გამეზარდაშვილს — მოცეკვავეს, ელზა გიორგის ასულ კახნიაშვილს — მოცეკვავეს, ვახტანგ ნოდარის ძე მეფარიშვილს — მოცეკვავეს, ტარიელ გიორგის ძე მილაძეს — მოცეკვავეს, ელიზბარ გიგოლას ძე რევაზიშვილს — მომღერალს, მერაბ ოთარის ძე ურიდიას — მომღერალს, გივი ივანეს ძე შავგულიძეს — მომღერალს, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ჩიქოვანს — მომღერალს, ლიანა გიორგის ასულ ციხისელს — მოცეკვავეს.

ვის როგორ ულხინს, ვის რა აწუხებს?

კვიცრას იტალიის ტელევიზიამ საკმაოდ ვრცელი გადაცემა მიუძღვნა ჩემპიონატის ოცდათხი მატჩის ანალიზს. გადაცემაში უმთავრესად მწვრთნელები და სპორტული მიმმხილველები მონაწილეობდნენ. საუბრის ძირითადი თემა იყო მსაჯობა და ის პრობლემები, რომლებშიც აღმოჩნდნენ გუნდები მერვედფინალური ტურნირის წინ.

მწვრთნელთა აზრით, მსაჯობა, წინა ჩემპიონატებთან შედარებით, ერთობ გამკაცრდა, მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ შეცდომათა რიცხვმა მკვეთრად იმატა. ავსტრიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოზეფ კიკერსბერგერმა თქვა, საქმეს მხოლოდ „ორმსაჯიანობის სისტემის“ შემოღება უშველისო (სხვათა შორის, ასეთი წინადადება, კარგა ხანია, ფიფას პრეზიდენტს — ჟოაო